პრევენცია როგორც ომი ნარკოტიკების წინააღმდეგ

თამარ გამხიტაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2019 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ გამხიტაშვილი

26.06.2019

აბსტრაქტი

ნარკოტიკების წინააღმდეგ ომი მსოფლიოში ნარკოტიკების პრობლემის მიმართ ერთ-ერთი გავრცელებული მიდგომაა. ის გულისხმობს დასჯას, წინააღმდეგ ზრუნვისა. შედეგად, ნარკოტიკების მომხარებლები წარმოადგენენ ფარულ პოპულაციას, რაც ხელს უწყობს მათში სისხლის გზით გადამდები ინფექციების გავრცელებას, მკურნალობაზე დაბალ მოთხოვნას, საზოგადოებიდან იზოლაციასა და მარგინალიზაციას და, ადამიანის უფლებების დარღვევებს. საქართველოში ნარკოტიკების წინააღმდეგ ომის პარადგიმა დღეისათვის მძლავრობს: ნარკოტიკების მოხმარება კრიმინალიზებულია, დასჯა ჩვეული პასუხია ნარკოტიკების მოხმარებაზე სახელმწიფოს მხრიდან. ამავე დროს, არ არის სათანადოდ განვითარებული ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირების სისტემა, განსაკუთრებით - პრევენცია.

დღეისთვის ქვეყანაში პრევენციის ყველაზე გავრცელებული ფორმა ე.წ. ანტინარკოტიკული კამპანიებია, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო უძღვება ხოლმე, სხვადასხვა დაინტერესებული სუბიექტის მონაწილეობით. ამავე დროს, ნარკოტიკებთან და სისხლის სამართლის დანაშაულთან ბრძოლის გაეროს ოფისის მიერ კვლევების საფუძველზე შემუშავებული პრევენციის სტანდარტების თანახმად, ანტინარკოტიკული კამპანიები არაეფექტურია არალეგალური ნარკოტიკული საშუალებების პრევენციის თვალსაზრისით (UNODC, 2015).

ჩემი კვლევის მიზანია, ამ საქართველოში უკანასკნელ წლებში განხორციელებული ანტინარკოტიკული კამპანიების პატერნების შესწავლა და მათი კავშირის გაანალიზება ნარკოტიკების წინააღმდეგ ომის მიდგომასთან. ამისთვის გამოვიყენე თვისებრივი მეთოდოლოგია. კერძოდ: მოვახდინე საქართველოში სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში განხორციელებული ორი ყველაზე ფართო მასშტაბიანი პრევენციული კამპანიის შემთხვევის ანალიზი; გავაკეთე ლიტერატურის მიმოხილვა ამერიკაში ნარკოტიკების წინააღმდეგ მეოცე საუკუნეში წარმოებული ომისა და მის ფარგლებში განხორციელებული ანტინარკოტიკული კამპანიების

თაობაზე; ამის საფუძველზე, მოვახდინე ამჟამინდელი საქართველოს და იმდროინდელი ამერიკის პრევენციული კამპანიების შედარებითი ანალიზი; დაბოლოს, ჩავატარე წამალდამოკიდებულების პრევენციის დარგის ექსპერტთა ერთი ფოკუს ჯგუფი.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ საქართველოში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ჩატარებული მასშტაბური პრევენციული კამპანიები როგორც დიზაინით, ასევე ძირითადი გზავნილებით მსგავსია ამერიკაში ნარკოტიკების წინააღმდეგ ომის ფარგლებში ჩატარებული პრევენციული კამპანიებისა. ამერიკის მსგავსად, ე.წ. ანტინარკოტიკული კამპანიები აქართველოშიც ემყარება ნარკოტიკების წინააღმეგ ომის საბაზო დაშვებებს და ფაქტობრივად, ნარკოტიკების წინააღმდეგ ომის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს. კერძოდ, ორივე შესწავლილი კამპანია წინ უსწრებდა, ან თან ახლავდა ნარკომომხმარებლების მიმართ რეპრესიული ღონისძიებების გამძაფრებას და ადამიანების უფლებების მნიშვნელოვან შელახვას. მათი ეფექტურობის შესწავლა არ დაგეგმილა და არ განხორციელებულა - რაც ეწინააღმდეგება პრევენციის თანამედროვე პრინციპებს. კამპანიების დიზაინი არ ეყრდნობოდა თანამედროვე სამეცნიერო მტკიცებულებებს.

კვლევის შედეგები საინტერესოა გადაწყვეტილებების მიმღებ პირთათვის, ქვეყანაში არსებული პრევენციული პრაქტიკების გადასასინჯად და ეფექტური, სკოლაზე დაფუძნებული პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვის აუცილებლობის გასაცნობიერებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ომი ნარკოტიკების წინააღმდეგ, ნარკოტიკების წინააღმდეგ ომის შედეგები, პრევენციული კამპანიები, ნარკოპოლიტიკა, ნარკოკანონმდებლობა საქართველოში, ანტინარკოტიკული კამპანიები საქართველოში, ნარკოტესტირება, ყველაფერი სუბუტექსის გარდა, ანტისუბუტექსი.

Abstract

The war on drugs is one of the most common approaches to the drug problem in the world. It implies punishment instead of care. Due to that drug users become a hidden population, which results in high prevalence of HIV/AIDS, HCV and HBV (Tamar ar damaviwydes – abreviaturebis siaa dasawkisSi sachiro), , high numbers of drug related death, low level of treatment demand,isolation and marginalization. The War on Drugs paradigm is in place nowadays in Georgia: drug use is criminalized, punishment is a common response to drug use problem from the side of State. At the same time, the system of drug demand reduction is underdeveloped. There are no institutional mechanisms for drug prevention. The most common forms of prevention in the country is so called anti-drug campaigns, led by Ministry of Internal Affairs, with the participation of different stakeholders. At the same time, According to the United Nations Office on Drugs and Crime, prevention campaigns are not effective for prevention of illegal drugs (UNODC, 2015).

The aim of my study was to explore patterns of large scale anti-drug campaigns implemented during the past two decades in Georgia and analyse their relationship with the War On Drugs approach. For this purpose, a qualitative methodology was implied, namely:

= Two case studies of the two major scale anti-drug campaigns held in Georgia from the beginning of 2000s were analysed;

- Literature review on the War On Drugs approach in the United States of America was done, with the special focus on the corresponding anti-drug campaigns;
- A comparative analyses of the Georgian and American campains has been implemented;
- A focus group discussion with participation of the 6 leading Georgian epxerts in drug prevention experts has been conducted.

The results of the study revealed, that large-scale preventive campaigns carried out in Georgia over the last 15 years have major similarities with the anti drug campaigns conducted in the past Centurey in America and are based on the War On Drugs approach. They are not based on evidence and do not take into consideration prevention standrds.

Simiarly to the American campaigns, so called anti-drug campaigns in Georgia are instruments of the War on Drugs and lead to human rights violations.

The results of the study will contribute to revision of the existed preventive practices in the country and motivate decision-makers to introduce evidence based prevention in the school setting.

Key Words: War On Drugs, Results of War On Drugs, Preventive campaigns, Drug Policy, Drug Legislation in Georgia, Anti-drug Campaigns in Georgia, Drug-Testing, „Everything except Subutex", "Antisubutex", Nancy Reagan anti-drug campaign, Nixon and War On Drug.

მადლობა

მადლობას ვუხდი, თემის ხელმძღვანელს ქალბატონ ჯანა ჯავახიშვილს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის, მხარდაჭერისთვის და მოცემული რეკომენდაციებისთვის.

მადლობას ვუხდი, ადიქციის კვლევების კურსდამთავრებულს ლიკა ქუთელიას, წინა ხელისუფლების ფარგლებში ჩატარებული პრევენციული კამპანიების შესახებ ინფორმაციის მოძიების ნაწილში დახმარებისთვის.

ბოლოს კი, მადლობას ვუხდი სფეროს ექსპერტებს, რათა გამონახეს დრო და ჩაერთნენ ფოკუს ჯგუფში. მათი ჩართულობის გარეშე, კვლევა ვერ იქნებოდა სრულყოფილი, ვინაიდან მსგავსი კვლევის ჩატარებისას, მნიშვნელოვანია სფეროს ექსპერტების მოსაზრებების გაცნობა.